ლიადო ასათიანი

წიგნაპრიები



თბილისი * 1942 * ფოლიო

„ჩვენი სამშობლოს, ჩვენი ხალხის სიცოცხლის, ღირსებისა და თავისუფლებისათვის გააფთრებულ ბრძოლებში საბჭოთა მეომრებს აღაფრთოვანებენ ახლაც და მომავალშიც ვაჟკაცური სახეები ჩვენი დიდი წინაპრებისა“.

„პრავდა“ 20|VIII-42

სპეც-2000
მემორიალური

* *

რა ქართველი ხარ და რა ჭაბუკი,
თუ მამულს თავი არ ანაცვალე—
ეს აწვალებდა ცოტნე დადიანს,
მეც ქართველი ვარ და ეს მაწვალებს.

რომ ვდგავარ ახლა ტფილისის კართან
შენ გეკითხები, ცაო ნათელო,
ამ უხეირო ლექსების გარდა
რას გავუკეთებ მე საქართველოს,

რომ ვდგავარ ახლა ტფილისის კართან
თქვენ გეუბნებით, ძმებო მგოსნებო,
ამ უხეირო ლექსების გარდა
დაგვრჩა საფიქრი და საოცნებო.

რა ქართველი ხარ და რა ჭაბუკი,
თუ მამულს თავი არ ანაცვალე—
ეს აწვალებდა ცოტნე დადიანს,
მეც ქართველი ვარ და ეს მაწვალებს.

კრწანისის ყაყაჩოები

სამასი არაგველის ხსოვნას

ჰეი, თქვენ, არაგველებო, გაუმაძღარნო ომითა,
თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა.
შავჩოხიანო ვაჟკაცო, ჭრილობა ხომ არ შეგხსნია!
ეს სისხლი არის, თუ მართლა ყაყაჩოების ცეცხლია?
შავჩოხიანო ვაჟებო, ასე რამ გაგახალისათ,
ჟრიალი ხომ არ მოგესმათ ოჟა ჯურხაის ფარისა!
სიმღერა ხომ არ მოგესმათ პატარა კახის ხმალისა?
იქნებ მე თვალი მატყუებს, ზეცა მაბრმავებს კრიალა,
მაშინ თქვენ თვითონ აღსდეგით და მარქვით ომახიანად:
თუ არც ყაყაჩოს ცეცხლია და არც ახალი იარა,
მა ეს ბებერი კრწანისი რა ძალამ ააბდღრიალა?..
ეი, თქვენ, არაგველებო, გაუმაძღარნო ომითა,
თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა.

• საქართველო იყო მათი საუცხოო სახელი

ძველად, თურმე, როცა მტრების უთვალავი ჯარები
მოდიოდნენ, რომ გაეღოთ საქართველოს კარები,
მამაკაცებს გვერდით ჰყავდათ, ვით ფოლადის ფარები,
და მტრებს მათთან ერთად სცემდნენ საქართველოს ქალები,

ისე მტკიცე იყვნენ თურმე, ვით მეტეხის კედელი,
გმირი თამარ ვაშლოვნელი და მაია წყნეთელი.

მათი ხმალი ცეცხლს აფრქვევდა, მტერი თრთოდა ვერანი.
საქართველოს ცისფერს ჰგავდა ფერი მათი მერანის.

სადაც უნდა ყოფილიყვნენ მარად დაუზრახველნი—
საქართველო იყო მათი საყვარელი სახელი.

ბრძოლის ველზე მიდიოდნენ რაინდული ოცნებით,
მიდიოდნენ და მიჰქონდათ ჩალისფერი დროშები,
ბევრჯერ სისხლით შეღებილან მათი ავგაროზები,

სადაც უნდა ყოფილიყვნენ, თუნდ სამარის კარამდის,
ოსმალეთის მიწა იყო, თუ მინდორი მარაბდის,
საქართველო იყო მათი საყვარელი მარადის.

სადაც უნდა აღემართათ სატევარი და გორდა,
ვაჟკაცურად მიიწევდნენ, ვაჟკაცურად გაჰქონდათ,
სპარსეთში თუ დაღესტანში, კრწანისთან თუ შამქორთან.
საქართველოს ერთი მუჭა ცხელი მიწა თან ჰქონდათ.

სიკვდილის წინ რუსთაველის შაირების ძახილით
მიწას გულში ჩაიკრავდა ქართველი თუ კახელი.—
საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი.

შვილებს ომში აგზავნიდნენ წარბშეკრული დედები,
აგზავნიდნენ აბარებდნენ დედურ დაბმედებით:
თუ ისარი ზურგში მოგხვდეთ, არ დაიჭრათ მკერდები,
ხელმეორედ ნუ გენახოთ საქართველოს ქედები!

ისე მტკიცე იყვნენ თურმე, ვით მეტეხის კედელი—
გმირი თინა წავკისელი და მაია წყნეთელი.

მათი ხმალი ცეცხლს აფრქვევდა, მტერი თრთოდა ვერანი,
საქართველოს ცისფერს ჰგავდა ფერი მათი მერანის.

მამულისთვის დაიღუპნენ ვაჟკაცობის მსახველნი,
საქართველო იყო მათი უწმინდესი სახელი.

საქართველოში

საქართველოში იბადებოდნენ
და შემდეგ მუდამ სწუხდნენ ამაზე —
ეხ... წუთით მაინც დაბრუნდებოდეს
ჩვენი ბავშვობა და სილამაზე.

თავს არ მოიკლავს ქართველი, არა,
ის შეიძლება ბრძოლაში მოკვდეს —
ერთი იმედით: სიცოცხლე მარად
გაგრძელდეს ქვეყნად და განმეორდეს.

საქართველოში როცა კვდებოდნენ,
უფრო და უფრო სწუხდნენ ამაზე,
ეხ, წუთით მაინც დაბრუნდებოდეს
ჩვენი ბავშვობა და სილამაზე.

ჩვენ ვაჟკაცობა ძველთაგან მოგვდევს,
ყველამ გაიგოს, ყველამ იცოდეს!
ჩვენ შეიძლება ბრძოლაში მოვკვდეთ,
მაგრამ არც მაშინ ვტოვებთ სიცოცხლეს.

რადგან სიცოცხლე ასე ნავარდობს,
სიკვდილის ყველა კარი დარაზეთ
და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს,
როცა ჩვენ გავჩნდით ამ ქვეყანაზე!

ციხის სიზმარი

როცა მთვარე შესწყვეტს კაშკაშს
და ბნელს შემოიხვევს,
ისე, როგორც დაღლილ ვაჟკაცს,
მძიმედ სძინავს ციხეს.
სძინავს ციხეს, ნატამალი
ხმაც არ აკრთობს სმენას,
სძინავს ციხეს და თამარის
საოცნებო სენაკს.
სძინავს, ფიქრებს ალამაზებს
და სიზმარში ხედავს,
რომ მის ბებერ გალავანზე
არწივები სხედან.
რომ კვლავ ისმენს ძველთა, ველთა
ნიავ-ქარის ნანას,
რომ მის ბებერ საძირკველთან
ქართველები დგანან.
რომ დილისკენ, როცა დნება
მუქი შუქი მთვარის
გალავანზე გადმოდგება
საქართველოს თვალი.
იხურება ჯიხურებად
დაღრუბლული სივრცე,
დედოფალი იყურება
არტანუჯის მხრისკენ.
სძინავს ციხეს, ჯანიანი
თრთის და სიზმრად ხედავს:
ეს ქართველთა ჯარი არის,

თუ ულრანი ხეთა,
ეს ნისლია ჩვენებური —
მზესავით რომ მოსჩანს,
თუ ქართველთა ძველებური
ჩალისფერი დროშა,
ვისკენ მოაქვთ ეს ალმები,
ვის უხდიან ჩაჩქანს,
ეს თამარი ესალმება
საქართველოს ლაშქარს,
იხურება ჯიხურებად
დალრუბლული სივრცე,
ეს თამარი იყურება
არტანუჯის მხრისკენ.
სძინავს ციხეს, მაგრამ დილით
მზე რომ იწყებს კაშკაშს,
ელვიძება, როგორც ძილით
დასვენებულ ვაჟკაცს.
ელვიძება, როგორც სისხლით
გაგიჟებულ მხედარს,
ელვიძება, მაგრამ ძილში
ნახულს ველარ ჰხედავს,
ველარ ჰხედავს, გაავდება,
აშლის ხავსის ბალანს
და გრუხუნებს ნაადრევი
გაზაფხულის გვარად.
მერე ისევ ალამაზებს
სიზმრით თავის სვე-ბედს
და ხავსიან გალავანზე
არწივები სთვლემენ.

პირველი მჭედლები

იბერიელთა სოფელი... მაღალ-მაღალი ცხენები...
ხალიბის ფოლადს ადნობენ მამაცი ხალიბელები.
პირველყოფილი სამჭედლო—გრდემლი და ურო ძლიერი,
ქართულ იარაღს აწრთობენ მამაცი იბერიელნი.
კვერითხუროი ვეება, რვალის და რკინის მჭედელი
და საბერველი ვეშაპის ყბასავით გაუხედნელი.
უგანივრესი ფილტვები, ჰაერი დაჟანგებული.
ბაასი: ჭექა-ქუხილი და ერი აჯანყებული.
ქურაში ცეცხლის ენები —წითელი აბრეშუმები,
კედლებზე ახალთ-ახალი, ხუთმეტწყრთიანი შუბები,
უზარმაზარი ფანჯრები გაჭრილი თაღებამდისა,
დასახარჯავი ხანჯლები და პერანგები ნაბდისა.
იბერიელთა სოფელი... მაღალ-მაღალი ცხენები...
ხალიბის ფოლადს ადნობენ მამაცი ხალიბელები.
პირველყოფილი სამჭედლო—გრდემლი და ურო ძლიერი,
ქართულ იარაღს აწრთობენ მამაცი იბერიელნი.

ქართველი ოქროსმაძიებლების სიმღერა

სამცხე-საათაბაგო

ჩვენ ოქროს ვეძებთ ერთ ხელში დაშნით,
სიცოცხლეც ჩვენი მისთვის გავსწირეთ,
ნეტარ არს, როცა ბებერ მიწაში
იელვებს ოქრო, ვით სიყმაწვილე.
ნეტარ არს, როცა ბრწყინვალე ზოდით
ბნელი გონება გაგვინათდება
და ცისარტყელას ციური ტოტი
თავს დაგვადგება ათინათებად,
საყვარელის თუ საკუთარ ბედზე
ჩვენ ოქროს ვეძებთ.

ჩვენ მხოლოდ იგი გვმატებს მხნეობას,
როცა ვიხილავთ მზისფერ ღინჭილებს,
შეაჟრიალებს ფლატე ხეობას
სიხარულისგან ისე ვიკივლებთ.
და გავშეშდებით, როცა შემთხვევით
ზოდს შევეყრებით ერთობ გოლიათს,
ჩვენ ზოდი, იგი, სინათლის მფრქვეველ,
უცებ, მთვლემარე ლომი გვგონია.
საყვარელის თუ საკუთარ ბედზე
ჩვენ ოქროს ვეძებთ.

ჩვენი ცხოვრების უმთავარო გზაზე
ჩვენ მხოლოდ მისი შუქი გვიშუქებს.
ჩვენ ვმალავთ ოქროს, ვატარებთ ძაძებს
და ამნაირად ვატყუებთ თურქებს.
ასე რომ არა, ეს არემარე
მონობის თალხით დაისუდრება.
ჩვენ ოქრო გვიყვარს, მაგრამ მეტადრე
გვიყვარს ზვიადი თავისუფლება.
საყვარელის თუ საკუთარ ბედზე
ჩვენ ოქროს ვეძებთ.

ჩვენ ბატონებიც გვყავს ღირსეული
სამცხის მრისხანე ათაბაგები,
დროდადრო უცხოდ დაყვითლებულნი
ხევიდან—ხევში გადავბარგდებით.
ვატარებთ წერაქვს, ცხრილსა და ტომარს,
თუ ოქრო სადმე სხვის ხელში გაჩნდა,
მიჩვეულნი ვართ კლდეებზე ხლტომას
და უცხოს ყელში გავუყრით დაშნას.
საყვარელის თუ საკუთარ ბედზე
ჩვენ ოქროს ვეძებთ.

ჩვენ ნაშიერებს მჭედელ ტომების
ცეცხლოვან თვალებს გვითრობს ლითონი,
მზეს რომ ვუყურებთ ოქროს ლომები
იბადებიან დიდრონ-დიდრონი.
ჩვენ ვთხრით და ვცხრილავთ და ისე ფრთხილად,
რომ მიწამ შრომა არ გაგვიოხროს.
ჩვენთვის ვიტოვებთ ცარიელ სილას,
დიდ ბატონებს კი ვუგზავნით ოქროს.

საყვარელის თუ საკუთარ ბედზე
ჩვენ ოქროს ვეძებთ.

ჩვენ ამავე დროს ვართ მეომარნი,
ომში ხალიბურ ხმალს ვახელებდით.
ჩვენი სამშობლო სახელოვანი
არტაანია და სამღერეთი,
სადაც ბარს როცა დაჰკრავ მიწაზე—
შემოგანათებს განძი ბებერი,
სადაც ჩვენ ვიშვით და გავიზარდეთ—
ქართველი ოქროსმაძიებელნი.
საყვარელის თუ საკუთარ ბედზე
ჩვენ ოქროს ვეძებთ.

მანანა ორბელიანის სურათზე

შენ, შაოსანო შავთვალავ, შავს სამარეში გძინავს,
ჯერ კარგად არც კი გამთბარა ჩემი პატარა ცირა.

შენი სახელი დავარქვი, მინდა შენ გგავდეს მარტო,
ერისთვისქალო, ფიქალო, მკერდბუმბერაზო ვარდო.

მინდა რომ შენებრ ელავდეს და იყოს შენისთანა,
სამშობლოსათვის ღელავდეს სანამ ჰხედავდეს მანამ,
მინდა, რომ შენებრ ჰკერავდეს ის საქართველოს ალამს.

პირმოქარგული ბალიშით, ძვლის ყაისნაღით ბელში...
შენი მარილი გამოჰყვეს, შენი წარბების ეშხი,

ზენსავით გაიშრიალოს, ხმელეთი გადალახოს,
ქალობა დაიმკვეხაროს, ცა და ქვეყანამ ნახოს.
მე კი, თუნდ მიწა მეყაროს სადმე ტფილისის ახლოს,

შენ, შაოსანო შავთვალავ, შავი სამარე გფარავს
ჩემი მანანა აკვანში ხან გაიცინებს ხან არ.
ია და ვარდნი ეტრფიან, ეტყვიან იავ-ნანას.

ნაღირობის შემდეგ

გარეული კამეჩების დევნით დაიღალნენ,
დახოცეს უშტი და უშქარი ნადირი.
და მერე, როცა დღე-ღამე გაიყარა
ღამის გასათევი შემოხვდათ ადგილი.

თეთრონებს მოხადეს ავაზას ტყავები
და მასზე დააწყვეს ლამაზად თავები
ირმების,
ჯიხვების,
არჩვების,
დათვების—
სიკვდილს რომ ებრძოდნენ სისხლიან თათებით.
და როცა მთვარემ ტყეზე გადიარა
სასმური ასწია ლევან დადიანმა:

— კურთხეულ იყოს ეს წმინდა ადგილი,
გაისათ უმეტესი მოგვეკლას ნადირი.

— კურთხეულ იყოს, – აღმოხდათ თავადებს,—
ნადირთა ღვთაების სახელი გფარავდეს.

და უცებ ქუხილმა ტყეზე გადიარა:
— ვინ მოჰკლა,
ვინ სტყორცნა ჩვენზე ადრიანად,

ვინ დალოცვილმა ჩვენზე მადლიანად!...
— მანუჩარის შვილმა ლევან დადიანმა.

ღამეში თვალების გადაბრიალებით
ნადავლთან მოგროვდნენ შავნაბდიანები.

ულვაშზე სალოკი გადისვა ერთ-ერთმა,
(მის მიერ დაკოდილ ირემზე ამბობდა)
— ლამის გამალენჩოს იმ თვალთა შეხედვამ,
ო, როგორ უნდოდა სიცოცხლე საცოდავს.

— გულჩვილი ყოფილხართ ლეჩხუმის თავადი,
ჩვენ კიდევ, პირდაპირ საფრთხეში ჩავვარდით,
ჯიქურ დაგვეჯახა და ლაჯში დაგვხია
მაგ ირმის გვერდით რომ ქისონი ტახია.—

სთქვა ეს და ბაღდადით შეიკრა იარა
თავადმა მაღალმა, ჟღალულვაშიანმა.

ნაკვერჩხალებივით ელავდნენ ღამეში
თვალები ვეება გარეულ კამეჩის.
და თეთრი ეშვებით წყვდიადის დამხევნი—
წყვდიადში ეყარენ ველური ტახები.

წყვდიადში თვალების გადაბრიალებით
რიგ-რიგად ჰყვებოდნენ შავნაბდიანები:
— პირველად შემომხვდა ჩვენს ტყეში კანჯარი,
პირველად გამიტყდა ჩემს დღეში ხანჯალი.

სვამდნენ, და თვრებოდნენ და ასე ჰყვებოდნენ,
რომელმა მათგანმა რა მოჰკლა, რა ბედზე.

ახარსარდებოდნენ, აყაყანდებოდნენ
და ღვინოს ასხამდნენ სისხლიან თავებზე.

— ჩვენი სიხარული და ჩვენი ჯავრი
ცოცხლობდეს,
შრომობდეს
ომობდეს მთავარი.

ტყე არ შრიალებდა, დაწვნენ და დაოსდნენ
ხეები სიბნელის სამსალით მთვრალები
და ეწყო თავები, ვით სასაკლაოზე
ლაჟვარდში გაფრენილ გაყინულ თვალებით.

თეთრჩაბალახიანი და თეთრნაბდიანი
ნადირობას ზეიმობდა ლევან დადიანი.

ასპინძა

1

ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს,
თუ როგორ გავუმასპინძლდით, როგორ გავრეკეთ ურჯულო.
გადაიარა წინა დღის ბრძოლების პაპანაქებამ,
ხმალს დასვენება უნდოდა, მხედრობას დაბანაკება.
გადალეწილან შუბები... დროშები ჩამოძენძილან...
ნაიმარ ქართველ მხედრობას ტრიალ მინდორში ეძინა.
მთვარემ მძინარე სახეებს ბნელი ბურუსი გადახსნა,
სუნთქვა მძინარე რაინდთა აბიბინებდა ბალახსა.
გართხმულან მწვანე ბალახში ზვიადნი, მსხვილბარკლიანნი,
ზოგი ლომია ლომგული, ზოგიც ვეფხია ბწკლიანი.
ერთი-ღა დადის ბანაკში, ეს ალბათ, ირაკლი არი...
აქა-იქ ცეცხლი ანთია, თოფზე მიკრულან გუშაგნი,
სთვლემენ ცხენები, მორთულნი ლამაზ უნაგირ-უზანგით.
შორს კლდეში ჭოტი გაჰკივის, მდინარე მიდის დუდუნით,
ხმიანი ხვრინვა გაისმის, თოხარიკების ფრუტუნი.
გადალეწილან შუბები... დროშები ჩამოძენძილან...
წუთით გატრუნულ ქარიშხალს ცხენის ფაფარში ეძინა.
იქნებ სიზმარი გვესიზმრა, იქნება არის ზღაპარი,
ვით შეიკედლებს ქარიშხალს ფიცხელი ცხენის ფაფარი?
ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს,
თუ როგორ გავუმასპინძლდით, როგორ გავრეკეთ ურჯულო.

გართხმულან მწვანე ბალახში მაღალნი, მსხვილბარკლიანნი,
ზოგი ლომია ლომგული, ზოგიც ვეფხია ბწკლიანი.
ერთი-ღა დადის ბანაკში, ეს, ალბათ, ირაკლი არი...

. . . . . .

სმენად ქცეულან მეფის წინ აღაბაბა და ხუდია,
ნეტავ, რა უნდა მეფესა, გულში რა ცეცხლი უნთია!
— ცუდი ილბალი გვიღიმის, უომრად გავისრისებით,
თუ არ დავხერხეთ ამაღამ ასპინძის ხიდის ისრები,
რომ მტრის მაშველი ჯარები ვერ გადმოვიდნენ ხიდზედა.
რაღა მაშველი სჭირდებათ, ბევრნი არიან ისედაც.
ამაღამ ხერხი ვიხმაროთ, ხვალისთვის ხმალი ვინებოთ,
აბა, გაფრინდით, სამშობლოს დროშა გფარავდეთ, შვილებო!
აჩრდილებივით მიდიან აღაბაბა და ხუდია,
ალბათ იმიტომ არ სჩანან, უჩინ-მაჩინის ქუდი აქვთ.
გარშემო ისევ ულრანი ღამეა ჩამოძენძილი—
ძილ-ფხიზლად სძინავთ ვაჟკაცებს, ღელავს ულვაშთა ჯეჯილი.
ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს,
თუ როგორ გავუმასპინძლდით, როგორ გავრეკეთ ურჯულო.

3

ინათა... ცისკრის ვარსკვლავის ბრწყინვამ წყვდიადი ვარიყა,
ატოტდნენ თეთრი ცხენები—გამოეღვიძა ქარიშხალს.
გაშალეს ძუა-ფაფარი, კორიანტელი დაირხა...
სინამდვილეში ზღაპარი ასე ახდება ხანდისხან.
მოიგდეს თეთრი ნაბდები, მიუხარიათ მხარი-მხარ,
ქართველო მამულიშვილო, ხელი ვადაზე გაიკარ!
მტერი ასპინძის სიმაგრეს შემოესია სერიდან,

წინა რიგებში მიგელავს პატარა კახი ცხენითა...
შეხვდება კოხტა ბელადსა, ხმალდახმალ გამოიტაცებს,
ტყვიას დაახლის ბეჭებში, უსულოდ დასცემს მიწაზე;
ხმალი წუნკლებსო, შესძახებს, რაზმებში გადავარდება, —
ასე სჩვევია ცხენდაცხენ ქარიშხალს განავარღება.
ასეთ ღელვაზე საკვირველს იტყოდნენ მამა-პაპანი:
— ზღვა როცა გაიფოფრება, ზეცაში ავა ფაფარით.

4

ჰკაფეს და ჰკაფეს ქართველთა, ვიდრე ჰყოფნიდათ ხმლის სისქე.
შეშინებულმა მტრის ჯარმა პირი იბრუნა ხიდისკენ.
ხიდი რომ არი, ხიდიც კი, ომში ხანდახან ხუნდია.
განა ამაოდ იღწვოდა ბორჩალოელი ხუდია!
ყური დაუგდეთ, გრძნეული ადგილის დედა ჩურჩულობს:
წყალმა წაიღო წყეული შემოსეული ურჯულო.

ბასიანის ბრძოლა

1

დედაქალაქში მოვიდა დესპანი, გამოჩენილი.
ნუქარდინს გამოეგზავნა თამარისათვის წერილი.
ენისგანუთქმელს, უკადრისს იწერებოდა მურტალი:--
„მე იკონიის სასულთნოს სახელოვანი სულთანი
გამცნობ ქართველთა მეფესა, (მეფეთა გადამჯეგელი),
რომ დედაკაცი ყოველი არის შენსავით რეგვენი.
იქამდი როგორ ამაღლდი, ან ისე როგორ გალაღდი,
რომ დღეს სუყველა გმორჩილებს, ვისაც მონებდი მანამდი.
რომ ქვეყანაზე გაისმის-შენი ჯარების გნიასი.
ლამის სირცხვილით დავიწვათ—თავზე გვაზიხარ დიაცი.
ან რა უფლებით გაბედე ხელში იმ ხმალის დაჭერა,
რომელიც დიდმა ალლახმა მარტოდენ ჩვენთვის გაჭედა,
მარტოდენ ჩვენთვის გაჭედა და ვით იქნება, ასპიტო,
რომ იმით ქრისტეანებმა მუსულმანები გასწყვიტონ.
მუსულმანები გასწყვიტონ და პირჯვრის გადასახვამდი
აჰკრიფონ გაუგონარი ბეგარა-გადასახადი.
ჰოდა, რადგანაც საკუთარ ბუნაგშიც აღარ ჩერდები,
ახლა მე შენზე მოვდივარ ჩემის მამაცი მხედრებით,
გამოიწვევნია ომისთვის მშვიდობას შეუჩვეველნი.
წინ მანქანები მომიძღვის სიმაგრეების მნგრეველი.
უნდა იმგვარად დავლეწოთ თქვენთა ციხეთა ბურჯები,
რომ ხორნაბუჯში ხორნაბუჯს ეძებდეს ხორნაბუჯელი.
რომ დაგავიწყდეთ მარადის ლახვარ-მახვილის აღება,
რომ მზეს კვლავ ველარ შესცინონ ქართულმა ბაირაღებმა.

მაგრამ, უგბილო დიაცო, თუ ჩემი ჯარის მოსვლამდი,
შენს რჯულს უარჰყოფ, რომელსაც მუდამ დიდებით ჰმოსავდი,
მაჰმადიანი გახდები, კარავში გამოცხადდები,
შეგიწყალებ და შეგინდობ, სულაც არ გაგიცხარდები,
ეს მხოლოდ შენთვის, ლამაზო, სხვას არვის ვაძლევ არჩევანს,
ისე დავანგრევ ქვეყანას მთხრობელიც აღარ დარჩება“.

2

ცას ჰგავდა ვარსკვლავიანსა სამეფო სახლის თავანი!
ტახტზე დიდებულებოვანი შვენოდა მეფე თამარი.
სულთანის გამოგზავნილი ხელში ეჭირა წერილი—
დიდი ტრიალი მინდორი ცხენთაგან გადათელილი.
წინ ელჩი იდგა დაღლილი მგზავრობის დავიდარაბით.
(სარკმლიდან სჩანდა, ეზოში ლომებს აჭმევდა არაბი)
ბატონკაცური დუმილით სდუმდა დიადი დარბაზი.
წითელი ოქრო გინდოდა, თუ ზღაპრად თქმული ალმასი!
მდიდრულ კედლებზე ელავდა ინდოეთი და ელლადა
და სტავრა არაბეთისა ცეცხლის ალივით ღელავდა...
ეს ხაკადული ნანაობს, თუ ყანა ნათავთავარი!—
სულთანის წერილს კითხულობს შუბლშეჭმუხვნილი თამარი.
— ნეტავი დღესვე მიბრძანოს ურჯულოებზე თარეში,—
ფიქრობს მხარგრძელი და თავის პატრონს შეჰყურებს თვალებში.
მიწყდა ხმა ნაკადულისა—მეფემ გადასდო წერილი
და ელჩისაკენ მიბრუნდა შველივით ყელმოღერილი:
— სხვას კიდევ რაღას გვიბრძანებს სახელოვანი ნუქარდინ,
ჯერ არც კი ამხედრებულა, ქვეყანა შესძრა მუქარით.
— სხვა, ესეც შემოგითვალათ, თუ რჯულს დასტოვებს თამარი
შევინდო, ცოლად შევირთო, ვუბოძო საქმრო ქამარი,
მაგრამ თუ ასე არ იზამს, მტერი ყოფილა თავისა.

რჯულს ძალით შევაცვლევინებ და ნერე ხასად დავისვამ“...
სისხლი მოაწვა მხარგრძელსა, გული ქარცეცხლით აევსო,
ერთი ხმამაღლა შეჰკივლა, — რა სიტყვით სწამლავ ჰაერსო, —
და პატრონივით ენაბილწს სილა გააწნა ისეთი,
გონდაკარგული დაასკდა იატაკს ეშმაკისერთი.
წარბები შეჰკრა თამარმა—რად მოეპყარო უშვერად.—
— თავსაც მოვეჩრიდი, მეფეო, მაგრამ ელჩობამ უშველა.
რაინდი, შეფის ძვირისმთქმელს, ბევრს როდი ალაპარაკებს,—
დილეგში წაიყვანეთო, კუშტად უბრძანა არაბებს.
ფეხზე წამოდგა მნათობი—მეფეთა მეფე თამარი.
ამირსპასალარს მიჰმართა:—საზრუნავი გვაქვს მთავარი.
მტრის ღირსეულად დახვედრა ნუ გვეგონება ადვილი,
ამაღამევე მოვაწყოთ დიდებულების თათბირი.
გადაწყდეს სეფე ჯარს ვენდოთ, თუ ქუდზე კაცი შევყაროთ,—
რომ თურქმა შემოსეულმა ბოლოს ვერ დაიმკვეხაროს.
თორემ ტვინამღერებული ქვეყანას საფრთხეს უქადის,
ვმირულად, მამაპაპურად დავხვდეთ სისხლისმსმელ ნუქარდინს.
— ნება შენია, მეფეო,—დინჯად ეტყოდა მხარგრძელი,—
ომი მომწყურდა, ამ ქვეყნად უომრად ვეღარ გავძელი,
დარბაზის ერი მოვიხმოთ და ასჯერ განსჯილ ბრძანებით
ბრძოლის ველისკენ ვაფრინოთ ჩვენი სამშობლოს ჯარები,
ომი უნდოდა მხარგრძელსა—ჯაჰვის პერანგის მორგება,
ვაჟკაცსა სახელიანსა ისე არ დაედგომება...
წინ ჩაუქროლეს განვლილმა, გაცივებულმა ომებმა.
ეზოში ზარბაზნებივით დაიღრიალეს ლომებმა.

3

ვინც კი იარაღს ატარებს, გულითადია მეფისა,
ვინც დროშას გორგასლიანსა დაუჩოქა და შეჰფიცა

ყველა ლაშქარში, ვაჟკაცი ერთგული ვინც გვეგულება,
იმსჯელეს და გადასწყვიტეს მეფემ და დიდებულებმა.
აიღო მინა რხეული (ამბობდნენ შოთას ნაჩუქარს),
დაჯდა თამარი და სულთანს ასე მისწერა პასუხად:
რა გითქვამს, რა მოგიჭორავს, რას მეშარები შორიდან,
ტყუილუბრალოდ ცილს მწამებ, ალბათ სისხლისღვრა მოგინდა,
ალბათ, სისხლისღვრა მოგინდა, თორემ მაშ რისთვის ისურვე,
რომ მოგეჩვენა ასეთი უმაგალითო სიცრუე.
ჰოი, უგნურო ნუქარდინ, წინ მიძევს შენი ბარათი.
კარავში მოსვლას მიბრძანებ კაციჭამია ჯალათი...
მოვდივარ, მაგრამ სხვაგვარად, თავად გაიგე და მიხვდი,
მოვდივარ ჩემის ლაშქრითა, თუ ვაჟკაცი ხარ, დამიხვდი.
მოვდივარ შენს დასასჯელად, თავლაფდასხმულო, თავნებავ,
დაგამარცხებ რა დაგიცხრობ მაგ უშნო ამპარტავნებას.

. . . . . .

მეფე მსახურებს ეტყოდა სასწრაფოდ დესპანს უხმეთო,
შემოიყვანეს, დილეგში ღამენათევი, უღმერთო.
უცხო სამოსით შემოსეს შავს მტვერში ამოგანგლილი
და სიამაყით გადასცეს მას საპასუხო გრაგნილი.
გულუხვად დაასაჩუქრეს, სხვას ვის არგუნეს იმდენი.
ფეხმარდი ლაფშა მიართვეს, წავიდა დიდის დიდებით.
მიჰქონდა ოქრო და ვერცხლი, თვლები და მარგალიტები
და ყბაზე დამღა—მხარგრძელის კელაპტრისსიმსხო თითები.

4

შეკრბა სრულიად სამეფო სპა იმერთა და ამერთა.
ზღვის ფსკერზე—ქვიშას, ზეცაში—ვარსკვლავებს გადაამეტა.
ერთ ძლიერ ულოდ შეკრული დაუშლელ-განუფანტავი—
ქართველი მამულიშვილი ნიკოფსით დარუბანდამდი.

ჯარები ოცსთა, ყივჩალთა, კახთა და ჰერთა გულადთა—
ერთმანეთს დაეოლოებულნი, ფიცვერცხლნაჭამი ძმურადა.
ქართლის, მესხეთის, სომხითის ვაჟები შალხაზ-მალხაზი.
თორელნი, ტაოელები, შავშ-კლარჯები და აფხაზნი.
ფიცხი და მკვირცხლი ლაზები, სვანები ბუმბერაზები
და რაჭა-თაკვერ-არგვეთის მამაცი სუმბერრაზმები.
აბორგდნენ, აბობოქარდნენ, როგორც ზვირთები არაქსის
და მეფის ირგვლივ მოგროვდნენ ვარძიის ციხე-ქალაქში.
მეფემ ფრთებგანათებული საძეფო დროშა გაშალა
და საქართველოს უძლეველ ჯარს დაეულოცა გზა-შარა.
თავად კი ლოცვა-კურთხევით ქალაქ ოძრახეს წავიდა,
თავს დაჰნათოდა სულმნათსა შაისის ცა ვარსკვლავითა.

5

ერთ შესასვლელად კმაროდა ლაშქარი ომს მიმავალი:—
წინ მიუძღოდა სოსლანი—ვაჟკაცი ჰაეროვანი.
სოსლანის გვერდით პირქუში მბარგრძელი განგაცვიფრებდათ.
იქვე ნახავდით შალვას და ივანეს ახალციხელთა.
უკან პორფირით მოსილი მისდევდათ ჯვარისმტვირთველი,
ნება-ნებაზე მიჰქროდნენ ქართული ჯარის ზვირთები.
ყველა გულმარჯიანი, ერთიც კი არა ჯაბანი.
ცხენთა და კაცთა სიმრავლით იზნიქებოდა მთა-ბარი.

6

— სიტყვა და საქმე ერთი მაქვს, ჩვეული არ ვარ ცრუ ქადილს,—
ეთქვა რა, თავის მხედრობა წამოეყვანა ნუქარდინს.
ბასიანს იდგა ბანაკად, რიცხვით რამდენი ვინ იცის,
იდგა და გასალაშქრებლად ემზადებოდა დილისთვის...
დილაც გათენდა და თეთრად კარვებზე დაჯდნენ ნისლები,

ჯერ კიდევ სძინავს სულთანსა თავისი დარბაისლებით.
გალაღებულა უგნური, რა დღე მოელის არა სჯის.
კარვების არე-მარეში ერთიც არ ფხიზლობს დარაჯი.
ქართული ჯარის სარდლებმა მარჯვე შემთხვევა იხელთეს
და ცხენოსანი რაზმებით მწყობრად დაიძრნენ იქეთკენ.
ცოტახანს წყნარად ვიდოდნენ, მოკლედ იჭერდნენ აღვირთა,
მაგრამ, როდესაც სულთანის ბანაკში კაცი აყვირდა:—
„წამოდექითო, მხედრებო, სპა დაგვესხაო ურიცხვი,“—
სოსლანმა ჯარებს მიჰმართა:—„სამშობლო ქვეყნის
გულისთვის!“—
ხმალი იშიშვლა, ლაშქარში გადაერია ქვაგული.
ცეცხლს ჰყრიდა ბუნჯგალ-ბუნჯგალსა მისი ფოლადის ფრანგული.
ცალკერძ მხარგრძელმა დასჭექა, ცალკერძ თორელმა დასძახა
და გულმკერდგახურებულნი მტერს მიეხალნენ მხარდამხარ.
წამოიშალა სულთანის ბანაკი ციებ-ცხელებით,
შეირტყეს ისარ-კაპარჭი, შეათამაშეს ცხენები.
შეუზახნეს და შეიბნენ, ომი სად თქმულა ასეთი—
ილეწებოდა ფოლადი, უჭედელი და ნაჭედი.
დასცხეს ერთმანეთს ისრები და წაუშინეს წათები.
— ჩაფხუტი ჩამოიწია, თორემ უომრად წახდები,—
გასძახა ახალციხელმა შალვამ თავის ძმას ივანეს,
როცა სულთანის კაცები გაცოფებულნი მივარდნენ,
მაგრამ ხმლის ორი ელვა და დაეცენ მოძალადენი.
სისხლის მდინარემ წაიღო მათი ფარ-მუზარადები.
კალთამდე ჩამოაფხრიწეს შალვას ავაზას ტყავ-კაბა,
როცა ძმის მისაშველებლად ცხენ-კაცთა ტევრი გაჰკაფა.
ომი გაგრძელდა...
გაძნელდა...
ფოლადს სცვივოდა ტალები.

ამოიხაფრა ჰაერი ნაშსხვრევი შუბის ტარებით,
მოითარეშა სიკვდილმა სიცოცხლის გასაგისები.
ყოველი მხრისკენ აფრინა სისხლით დამთვრალი ისრები.
აგერ, შეიბნენ ორ-ორნი—
ურთერთს ახეთქეს ჭოროლი.
ეგერ ვეფხვივით გაქანდა მხედარი შეურიგალი,
მას ასათიძე გრიგოლი შემოხვდა, როგორც გრიგალი.
გულში გაურჭო მახვილი, „ვაჰმე, დედაო“ იძახდა.
ცეცხლწაკიდებულ გორაკზე
დასტა იბრძოდა ყიჩალთა.
წამოიშალენ ტალღებად მძვინვარე სისხლის ღვარები
და გაიტაცეს ცხენდაცხენ ივანე ციხისჯვარელი.
დარაინახეს რომ რაინდს გზა-კვალი გაუტიალდა
აღმართეს იქცევისები მათ თურქთა ჩაფხუტიანთა,
ერთმა ახმახმა შორიდან ისრით გაუპო გმირს წარბი,
მაგრამ მიუხტა ივანე გასაოცარი სისწრაფით
და ისე დაჰკრა კეფაზე ხანჯალი გაულუნველი,
რომ ტვინი მისი ჰაერში ავარდა როგორც ღრუბელი.
და მერე, როცა მკლავმარდი წამოეშველა გაგელი
ერთად ეკვეთენ უკეთურთ მამულის მოამაგენი.
მუსრეს და მუსრი გაავლეს... მოკლულთა დადგა ჯებირი,
მაინც ვერ გაძღა ბრძოლითა მარჯვენა წარბგაჩეხილი.
ომი გაგრძელდა...
გაძნელდა
ჭენებით განახელები,
წინმბრძოლ სპასალარ-სპასპეტთა ყველას მოუკლეს ცხენები.
დაიქვეითეს მაშინვე სხვა დანარჩენმა ვაჟებმა
და სარდლებს გვერდში დაუდგნენ რიგების გასაკაჟებლად.
— ცხენოსანებო, ისმინეთ, ეს მე გიბრძანებთ თვითეულს,

მარცხენა მხრისკენ მობრუნდით, უტიეთ დაქვეითებულთ,—
ბრძანა სოსლანმა და ჯარი მიატრიალა მხარმარცხნივ.—
— ქვეითნო, მირჯვნივ სასწრაფოდ, თორემ უომრად
დავმარცხდით,
ხმა მიაწვდინა მხარგრძელმა არევ-დარეულ ქვეითთა.
ჯარი ერთ ხაზზე გაეწყო და ომი ისევ წენივთდა.
ისევ შეიქნა მტრის თავზე ფხიანი ხმლების ჯახება.
შეშინებულმა სულთანმა იკადრა უკან დახევა.
ისევ მიჰმართეს სარდლებმა მრავალგზის ნაცად ჯევარდნებს
და ნუქარდინის ლაშქარში ისე გულდაგულ შევარდნენ.
გასკდა მტრის ჯარის სიმრავლე, მტვრის ბუქი დადგა სვეტებად,
გაუგონარი რამ იყო უკანასკნელი შეტევა!
ბევრს ვაჟკაცს გადაეფარა წყვდიადი შავი სამარის,
სირცხვილნაჭამმა სულთანმა მოჰკურცხლა თავის ამალით.
უკან დაედევნენ ქართველნი, კაფვით, ხანჯლების კისკასით:—
მეორედ აღარ გაბედოთ შემოჭრა ქართლის ჭიშკარში.

7

გათავდა ომი თუ არა ერთად შეგროვდნენ ჯარები,
მხრებზე შვენოდათ მშვილდები და შუბლზე ნახანჯლარები.
მკვდრებით მოფენილ მინდორზე სიო არ ჰქროდა არსაით.
მუზარადი და ჩაჩქანი ეყარა რიყის ქვასავით.
ზოგან მოსჩანდა მეედარი ხმლით გაკვეთილი ორადა,
ზოგან დაჭრილი კვნესოდა და სისხლის ღვარი ბოლავდა.
როგორც ტყე შემოდგომისა ფოთლის ყვითელი ფოჩებით
იდგნენ ხელჩართულ ბრძოლაში ნაალაფარი დროშები.
— მალემსრბოლიო!—
მხარგრძელმა მხედრებმა მხარგრძელს შესძახეს
და ერთი რჩეულთაგანი
გაქანდა
ოძრახესაკენ.

ჯარის წინ სახელოვანი სარდლობაც გამომჩნიანდა.
გახსნეს შეკრული თვალ-წარბი, ფარებს დაეყრდნენ ზვიადად.
წინ გადაშლოდათ საკუთარ მარჯვენით ნაპარტახევი,
ნზეზე ელავდნენ ლომკაცთა ფოლადის ჩაპალახები.
უცებ სად იყო, სად არა... გაშეშდნენ გაკვირვებითა—
არწივთა გუნდი აფრინდა არაქსის ნაპირებიდან.
ჯერ გაჰკრეს, გაინავარდეს, მზის შუქში გაფერნაირდნენ
და მერე მსხვილი ჭანგებით მხრებზე დაასხდნენ რაინდებს.
ამირანივით მოსჩანდა მუზარადიან ტოლებში
ძლიერად მბრძოლი მებრძოლი ბატონ-პატრონი ლორესი.
თამარის თანამეცხედრე, თვით მეფე გვირგვინოსანი
ზერდაგზე იჯდა ბეჭბრტყელი, შიშშეუვალი სოსლანი
და ვაეშალა ლაჟვარდში ისე ვით ლომის ფაფარი,
გორგასლიანი ალამი—ვაჟკაცთა თავშესაფარი.
ჯარი ძველ ლაშქრულს მღეროდა, ებანებოდა ტყე-ველი
და საქართველო იდგა ვით გოდოლი შეურყეველი.

ს ა რ ჩ ე ვ ი

** (რა ქართველი ხარ) . 3
კრწანისის ყაყაჩოები 4
საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი 5
საქართველოში . 7
ციხის სიზმარი . 8
პირველი მჭედლები . . . 10
ქართველი ოქროსმაძიებლები 11
მანანა ორბელიანის სურათზე . 14
ნადირობის შემდეგ . 15
ასპინძა . . 18
ბასიანის ბრძოლა . 21